დრამის ფაკულტეტი

დრამის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობა.....2

1. პროგრამა - სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი).....3

1.1. მოდული - თეატრის რეჟისურა 3

დაშვების წინაპირობა..... 3

წარმოსადგენი დოკუმენტაცია 3

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.....3

1.2. მოდული - ქართული ცეკვის ქორეოგრაფი.....5

დაშვების წინაპირობა..... 5

წარმოსადგენი დოკუმენტაცია..... 5

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.....6

2. პროგრამა - თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი).....9

დაშვების წინაპირობა..... 9

წარმოსადგენი დოკუმენტაცია..... 9

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.....9

3. პროგრამა - მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) 11

დაშვების წინაპირობა..... 11

წარმოსადგენი დოკუმენტაცია..... 11

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.....11

დრამის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (შესაძლებელია ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი);
ქართულ ენის ცოდნა (უცხოელი კანდიდატებისთვის - B 2 დონეზე);
ინგლისური ენის ცოდნა- B 2 დონეზე;

აპლიკანტის ენის ფლობის დონე შემოწმდება ტესტირების საშუალებით.

აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან:

თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე.

აპლიკანტი ასევე თავისუფლდება ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენიდან, თუ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის დროს მის მიერ უცხო ენაში მიღებული კრედიტი შეესაბამება ენის ცოდნის შესაბამის საფეხურს.

დრამის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის საფუძველია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

საგამოცდო მოთხოვნები აღწერილია პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით

1. პროგრამა - სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)

1.1. მოდული - თეატრის რეჟისურა

დაშვების წინაპირობა

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თეატრის რეჟისურის ან სამსახიობო ოსტატობის მიმართულებით. (დაზუსტებით: კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს ხელოვნების ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ან მეტი აკადემიური ხარისხი. ან სხვა სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თუ აბიტურიენტს გააჩნია პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელოვანი გამოცდილება სათეატრო სივრცეში)

ბ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის, შემოქმედებითი ტურის წარმატებით ჩაბარება

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია),

- სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;

- შემოქმედებითი პორტფოლიო (სპექტაკლის ჩანაწერი, ფილმი, ექსპლიკაცია, პროექტი, რეცენზია/გამოხმაურებები სპექტაკლის შესახებ და სხვა ინფორმაცია შემოქმედებითი გამოცდილების შესახებ DVD დისკით)

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში

შემოქმედებითი ტური „თეატრის რეჟისურის“ მიმართულებაზე ტარდება 2 ეტაპად:

I შემოქმედებითი ტური - წერითი ნაშრომის შესრულება

წერითი ნაშრომი გულისხმობს სარეჟისორო ექსპლიკაციის შესრულებას, რომელიც გამოავლენს აბიტურიენტის მხატვრული აზროვნებისადმი მიდრეკილებას, რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. ასევე, საუკეთესოდ ასახავს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.

პიესის სარეჟისორო ექსპლიკაცია

დრამატურგები

1. უილიამ შექსპირი- „ჰამლეტი“, ,,ოტელო“
2. მოლიერი- „ტარტიუფი“, „დონ-ჟუანი“;
3. ანტონ ჩეხოვი- „თოლია“, „ალუბლის ბაღი“;
4. დავით კლდიაშვილი- „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“;
5. პოლიკარპე კაკაბაძე- „ყვარყვარე თუთაბერი“
6. ნიკოლაი გოგოლი ,,რევიზორი“
7. ჰენრიკ იბსენი ,,ჰედა გაბლერი“
8. პიერ ბომარშე ,,ფიგაროს ქორწინება“
9. ავგუსტ სტრინდბერგი ,,ფრეკენ ჟიული“

II შემოქმედებითი ტური - გასაუბრება

დგინდება აპლიკანტის მომზადების დონე და უნარი აითვისოს საგანმათლებლო პროგრამა.

სახელოვნებო დარგების შესახებ ზოგადი ცოდნის დადგენა (თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურის და ა.შ)

1. ქართული თეატრის ისტორია

2. ხელოვნების ისტორია

3. მსოფლიო თეატრის ისტორია

ლიტერატურა:

სასურველია აბიტურიენტს წაკითხული ჰქონდეს:

1. ვასილ კიკნაძე ,,ქართული დრამატული თეატრის ისტორია “. ტომი I.
2. პიტერ ბრუკი „ცარიელი სივრცე“ გამომცემლობა: „ხელოვნება“, თბილისი, 1984 წ. თარგმანი: ზაზა ჭილაძე;
3. ერნსტ გომბრიხი ,,ხელოვნების ამბავი“, პალიტრა L, 2019;
4. თამარ ბოკუჩავა და მაია გოშაძე, მსოფლიო თეატრის ისტორია, უძველესი და ანტიკური თეატრი, წიგნი I, კენტავრი, 2018
5. მიხელ თუმანიშვილი - ,,სანამ რეპეტიცია დაიწყება“, თბ, კენტავრი, 2008;
6. კონსტანტინე სტანისლავსკი - ,,ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“, https://www.theatrelife.ge/theatretheory

1.2. მოდული - ქართული ცეკვის ქორეოგრაფი

დაშვების წინაპირობა

ა) პროგრამაზე მისაღებად მინიმუმ 6 წლიანი საშემსრულებლო-შემოქმედებითი ქორეოგრაფიული გამოცდილება სავალდებულოა. მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სასურველია – ქორეოგრაფიული ხელოვნების. ამ შემთხვევაში, მას საშემსრულებლო-შემოქმედებით ქორეოგრაფიულ გამოცდილებაში ეთვლება 4 წელი. დამატებით, მან უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 2 წლიანი საშემსრულებლო ქორეოგრაფიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, სერტიფიკატი, ცნობა);

როდესაც კონკურსანტს არა აქვს საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამისი საბაკალავრო ხარისხი (ქორეოგრაფიის მიმართულებით) და სხვა სპეციალიზაციის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხთან ერთად აქვს ქორეოგრაფიული-საშემსრულებლო პროფესიონალური 6 წლიანი გამოცდილება, მან უნდა წარმოადგინოს მის მიერ დადგმული/შესრულებული შემოქმედებითი ნაშრომი/პროექტის აუდიოვიზუალური მასალა (ან ლინკი), მაქსიმუმ 10 წუთიანი, რომელიც საუკეთესოდ ასახავს ქორეოგრაფისათვის საჭირო კომპეტენციებს.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შედგება სააპლიკაციო პაკეტისაგან, ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირებისა და ინტერვიუსაგან.

სააპლიკაციო პაკეტში უნდა შედიოდეს:

- აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია);
- სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას.
- 1-2 გვერდიანი მიზნის განცხადება, რომელიც ასახავს ასევე პროფესიონალურ საცეკვაო გამოცდილებას, მაგისტრის ხარისხის მოპოვების მიზეზებს და კარიერულ მოლოდინებს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში

გასაუბრება

დგინდება აპლიკანტის მომზადების დონე და უნარი აითვისოს საგანმანათლებლო პროგრამა.

კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს კარგი აკადემიური მაჩვენებელი, შემოქმედებითი უნარი და ალღო, მხატვრული აზროვნება, ინტელექტი. უმაღლესი სამსაფეხურიანი სწავლების პირველი ეტაპისათვის აუცილებელი პროგრამის კურსით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა გაუადვილებს მაგისტრანტს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით საშემსრულებლო ქორეოგრაფიული შემოქმედებისა და მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ ქორეოგრაფის პროფესიისათვის აუცილებელ საშემსრულებლო - შემოქმედებით ნიჭსა და ცოდნას, საკითხის შემოქმედებითი ხედვისა და ინტერპრეტაციის უნარს.

გასაუბრების საკითხები

გაკვეთილი - ცეკვის სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა

- გაკვეთილის ტიპები და სტრუქტურა.
- გაკვეთილის შემადგენელი ნაწილების თავისებურება და თანაფარდობა.
- საცეკვაო მოედნის დაგეგმვა.

ეგზერსისის (სავარჯიშოების) მოძრაობათა თანმიმდევრობა ძელთან და დარბაზის შუაში;

ძელთან ვარჯიშის შესრულების ძირითადი მოთხოვნები;

ცალკეული მოძრაობისა და საცეკვაო კომბინაციის შესრულების მეთოდიკა;

ცეკვის ჩაწერის სისტემები (მიმოხილვა);

რომელიმე კუთხის ფოლკლორული ან აკადემიური ცეკვის მოძრაობის შესრულების სტილის, ხასიათისა და მანერის თავისებურება;

ქართული ხალხური ცეკვის ტერმინოლოგია;

ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული კულტურული მემკვიდრეობის საბაზო ნიმუშები (თეორია და მეთოდიკა) :

- პატრიოტული ხასიათის ფერხულები;
- სამხედრო ხასიათის ფერხულები;
- საყოფაცხოვრებო ხასიათის ფერხულები;
- საწესჩვეულებო–რიტუალური ცეკვები და თამაშობანი საქართველოში;
- ცეკვები თეთრი გიორგის პატივსაცემად;
- საცეკვაო-რიტუალური წეს-ჩვეულებანი ავადმყოფობის დროს;
- რიტუალურ-სამგლოვიარო და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საცეკვაო წეს-ჩვეულებანი;

- რიტუალურ–საცეკვაო წესჩვეულება ბავშვის დაბადების დროს. ცეკვა „სამაია“და მისი ნაირსახეობანი;
- რიტუალური საახალწლო ცეკვები;
- გვალვასთან ბრძოლის რიტუალური წეს-ჩვეულება „ლაზარობა“;
- ბერიკაობა, ყეენობა;
- „ადრეკილაი“, „მელია თელეპია“, „საქშისაი“;
- სართულებიანი ფერხულები;
- გასამხედროებული ასპარეზობანი და ცეკვები;
- ხევსურული ფარიკაობა და კეჭნაობა;

ცეკვები:

- „ლაზური“
- “ყოლსარმა“, „მხარული“, „განდაგან“
- „ფარცაკუკუ“
- „ხორუმი“
- „ხანჯლური“
- „მთიულური“
- “ცერული“
- “ბაღდადური“, „კინტოური“, „ყარაჩოხლური“
- „არირა“
- „ოღრო-ჩოღრო“
- „დავლური“, “ქართული“.

ცეკვის ანალიზი (მსჯელობის უნარი)
მუსიკალური და ქორეოგრაფიული დრამატურგია
ცეკვის კომპოზიცია (შემადგენელი ნაწილები)
ფოლკლორული ცეკვის სასცენო დამუშავება
ცეკვის ჩაწერის სისტემები

ლიტერატურა

1. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1991.
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941.
3. გელიაშვილი ეკატერინე, ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში,
   (დის.) 1.EKATERINEGELIASHVILI3.12.2014.pdf (nplg.gov.ge)
4. გვარამაძე ლ.; ქართული საცეკვაო ფოლკლორი; თბ.; 1997; ქართული ხალხური ქორეოგრაფია; თბ., 1957; ქართული ხალხური ცეკვა,, თბ., 2024.
5. გრიშაშვილი ი.; ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა; თბ.; 1998.
6. თათარაძე ა. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები; თბ.; 1999.

7. თათარაძე ა. - ქართული ხალხური ცეკვა, თბ; 2010. http://folk.gov.ge/wp-content/uploads/2014/09/37.pdf
8. ითონიშვილი ვ.; ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრება; თბ. 1974 .
9. კოკელაძე გ.; ზოგი რამ ქართულ ცეკვაზე; თბ.; 1977.
10. მაკალათია ს.; თუშეთი; თბ. 1933.
11. მაკალათია ს.; მესხეთ-ჯავახეთი; თბ.1938.
12. მაკალათია ს.; მთის რაჭა; თბ.1987.
13. მაკალათია ს.; ფშავი; თბ.1985.
14. მაკალათია ს.; ხევსურეთი; თბ. 1984.
15. სამსონაძე ა., ქორეოლოგიის საფუძვლები, თბ., 2020.
16. ფრუიძე ლ.; რაჭა ეთნოგრაფიის თვალით; თბ.; 1986.
17. ქართული ხალხური ცეკვა, შემდგ. უ.დვალიშვილი, ლ.ჭანიშვილი. დამხმ. მეთოდური სახელმძღვანელო, კენტავრი, თბ. 2017.
18. ცინცაძე დ., ფილფანი ვ., - სვანური ხალხური შემოქმედება, სასიმღერო ტექსტები, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფერხულები და ცეკვები. თბ., 2020.
19. ჯავრიშვილი დავით, ქართული ხალხური ცეკვა, შემდგ. უ.დვალიშვილი, ბ. ასიეშვილი, თბ., 2018. http://folk.gov.ge/cekva/
20. ჯანელიძე დ. ქართული თეატრის ხალხური საწყისები; თბ.; 1948; ქართული თეატრის ისტორია; ხალხური საწყისები (სახელმძღვანელო) , თბ., 2018.
21. ჭანიშვილი რ.; ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში; თბ.; 2000.

2. პროგრამა - თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)

დაშვების წინაპირობა

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელოვნებო სფეროში (დაზუსტებით: კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს ხელოვნების ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ან მეტი აკადემიური ხარისხი. დასაშვებია სხვა სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხიც, თუ აბიტურიენტს გააჩნია პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება);

ბ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის, შემოქმედებითი ტურის წარმატებით ჩაბარება

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია),
- სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;
- შემოქმედებითი პორტფოლიო (სპექტაკლის ან ფილმის სცენარი, მის მიერ შექმნილი ნებისმიერი ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები და სხვა ინფორმაცია შემოქმედებითი გამოცდილების შესახებ DVD დისკით);

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში ტარდება 2 ეტაპად:

I შემოქმედებითი ტური - წერითი ნაშრომის შესრულება

<u>წერითი ნაშრომის შესასრულებლად აბიტურიენტებს ეძლევათ4 საათი.</u>

წინასწარ დალუქულ კონვერტებში მოთავსდება ფრაზები, ან/და ციტატები. არჩეული ფრაზის/ციტატის მიხედვით აბიტურიენტმა უნდა შეთხზას ამბავი, რომელიც შესაძლოა გახდეს პიესის ან კინოსცენარის საფუძველი.

შეფასდება აბიტურიენტის

დრამატურგის პროფესიისათვის აუცილებელი შემოქმედებითი ნიჭი;
მხატვრული აზროვნების უნარი;
სიუჟეტის აგების უნარი;
ანალიტიკური ხედვის უნარი;
მხატვრული და აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციები.

ხელნაწერის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3 ხელნაწერ გვერდს.

II შემოქმედებითი ტური - გასაუბრება

გასაუბრება - დგინდება აპლიკანტის მომზადების დონე და უნარი აითვისოს საგანმათლებლო პროგრამა.

მსჯელობა წერითი გამოცდის ნამუშევრის გარშემო (რას შეცვლიდა, ან რას დაამატებდა).

ხელოვნების დარგების შესახებ ზოგადი ცოდნის დადგენა (თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა).

აბიტურიენტის მიერ შერჩეულ კონკრეტულ ფილმზე, ან და სპექტაკლზე, მათ დრამატურგიულ საფუძველზე მსჯელობა:

სასურველია, აბიტურიენტი ერკვეოდეს თეატრის ისტორიაში, კინოს ძირითად მიმდინარეობებში. წაკითხული ჰქონდეს კლასიკად აღიარებული პიესები, შეეძლოს მსჯელობა ლიტერატურაზე.

აბიტურიენტს შეუძლია თავად მოიძიოს სასურველი ინფორმაცია, ასევე გამოიყენოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი:

1. მსოფლიო დრამატურგიის ელექტრონული არქივი https://www.theatrelife.ge/plays;
2. ე.ჰ. გომბრიხი - ხელოვნების ამბავი, პალიტრა L, 2019;
3. კინოს მიმდინარეობების შესახებ ინფორმაცია: ექსპრესიონიზმი, ნეორეალიზმის, ავანგარდის და ა.შ.
4. ქართული და მსოფლიო თეატრის ისტორიის შესახებ https://www.theatrelife.ge/theatrehistory.

3. პროგრამა - მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)

დაშვების წინაპირობა

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელოვნებო სფეროში (დაზუსტებით: კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს ხელოვნების ან ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ან მეტი აკადემიური ხარისხი).

ბ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია),
- სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში

1. მისაღები გამოცდის დროს აბიტურიენტს ევალება ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში გასაუბრება
 გასაუბრება მიზნად ისახავს სახელოვნებო დარგების შესახებ ზოგადი ცოდნის დადგენას (ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის და ა.შ.).

2. აბიტურიენტმა უნდა მოამზადოს პროზაული ან პუბლიცისტური ნაწყვეტი, პოეტური ნაწარმოები, ან წარმოადგინოს პრეზენტაცია მისთვის საინტერესო {პროფესიიდან გამომდინარე} თემაზე.

სასურველია აბიტურიენტს წაკითხული ჰქონდეს:

1. არისტოტელე „რიტორიკა“;
2. მ. თუმანიშვილი - „ახლა კი ფარდა“;
3. ნ. კანდელაკი - „საორატორო ხელოვნება“;
4. ი.ჭავჭავაძის, ვ.ფშაველას, ო.ჭილაძის - პუბლიცისტური წერილები.
5. მ. ბერიკაშვილი ,, მეტყველების კულტურის ძირითადი პრინციპები.